<u>პროექტი</u>

საქართველოს პარლამენტის

დადგენილება

რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის შესახებ

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ საბჭოთა იმპერიის სამართალმემკვიდრემ – რუსეთის ფედერაციამ განაგრძო შეიარაღებული კონფლიქტების ინსპირირება აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიებზე. რუსეთის ხელისუფლება პერმანენტულად აიარაღებდა სეპარატისტებს, უზრუნველყოფდა მათ ფინანსური, სამხედრო და პოლიტიკური მხარდაჭერით და ქვეყანა ჩაითრია შეიარაღებულ კონფლიქტში, რომელიც ფორმალურად, წარმოებდა საქართველოსა და სეპარატისტებს შორის, მაგრამ თვისობრივად, წარმოადგენდა რუსეთ-საქართველოს სამხედრო დაპირისპირებას.

90-იან წლებში, რუსეთმა, რეგულარული ჯარებისა და დაქირაველებული პირების მეშვეობით განახორციელა ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდა, რაც დადასტურებულია ეუთოს ბუდაპეშტის 1994 წლის 6 დეკემბრის, ლისაბონის 1996 წლის 1 დეკემბრისა და სტამბულის 1999 წლის 17-18 ნოემბრის სამიტების დასკვნითი აქტებითა და გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 2008 წლის 15 მაისს მიღებული რეზოლუციით (62/249). აღნიშნული პერიოდიდან მოყოლებული რუსეთის ფედერაცია პერიოდულად აწყობდა სისხლიან პროვოკაციებს და ახერხებდა კონფლიქტის გამწვავებას საკუთარი სურვილის შესაბამისად. ე.წ. „სამშვიდობო ძალები", რომლებიც ამ ტერიტორიაზე განათავსა რუსეთის ფედერაციამ, რეალურად, წარმოადგენდა საოკუპაციო ჯარს, რომლის მთავარი მიზანი იყო არა კონფლიქტის დარეგულირება, არამედ – სუვერენული სახელმწიფოს, კერძოდ საქართველოს განუყოფელი ტერიტორიების მითვისება.

კონფლიქტის ზონაში რუსეთის ფედერაციის ე.წ. "სამშვიდობო ძალების" განთავსების შემდეგ ამ ტერიტორიების ადმინისტრირებას ახორციელებდა არა მხოლოდ შესაბამისი სეპარატისტული რეჟიმი, არამედ უშუალოდ რუსეთის ფედერაციაც. ნებისმიერი

გადაწყვეტილება აღნიშნულ რეგიონებში მიიღებოდა რუსეთის ფედერაციის პოლიტიკური ისტებლიშმენტის მიერ. რუსეთის პოლიტიკური ძალები უხეშად და პირდაპირ ერეოდნენ აღნიშნულ ტერიტორიებზე ჩატარებულ ე.წ. „არჩევნების“ პროცესშიც, ხოლო სეპარატისტული მთავრობები კომპლექტდებოდა რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო მოხელეებით. გარდა ამისა, რუსეთის ფედერაცია მასიურად ურიგებდა ამ ტერიტორიების მოსახლეობას რუსეთის მოქალაქის პასპორტებს არამარტო ქართული ან საერთაშორისო, არამედ – საკუთარი კანონმდებლობის უხეში დარღვევით და ეკონომიკური და ჰუმანიტარული მხარდაჭერის საფარქვეშ, საქართველოს მთავრობასთან შეუთანხმებლად ახორციელებდა იმგვარ ქმედებებს, რომელთა განხორციელებაც საერთაშორისო კანონმდებლობით დაუშვებელია სხვა სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

ამრიგად, წლების მანძილზე რუსეთის მხრიდან სახეზე იყო საქართველოს ტერიტორიების ანექსიის მცდელობა, ნიადაგის მომზადება იმისათვის, რომ საჭირო მომენტში განხორციელებულიყო საქართველოს ტერიტორიების საბოლოო ოკუპაცია.

90-იანი წლებიდან საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ რუსეთის ფედერაციის მხრიდან ამა თუ იმ ფორმით მუდმივად ფიქსირდებოდა, რომ მისთვის მიუღებელია საქართველოს სუვერენიტეტი, დამოუკიდებელი საქართველოს არჩევანი და სვლა ევროპული და ევრო-ატლანტიკური სტრუქტურების მიმართულებით. კონფლიქტების გაღვივება გამოიყენებოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისა და სუვერენიტეტის ხელყოფის მიზნით.

2007-2008 წლებში საქართველოს ხელისუფლებისა და საერთაშორისო საზოგადოების მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, რაც მიზნად ისახავდა ე.წ. გაყინული კონფლიქტების მოგვარებაში მონაწილეობის მიღებისა და სამშვიდობო პროცესის ინტერნაციონალიზაციისათვის რეალური პირობების შექმნას (რაც დადასტურებულია გაეროს უშიშროების საბჭოს 2007 წლის №1781 და №1752 რეზოლუციებით), რუსეთის ფედერაციამ სამხედრო აგრესიით უპასუხა. პირველ ეტაპზე, რუსეთის ფედერაციამ, მიუხედავად საქართველოს ხელისუფლების სამშვიდობო მცდელობებისა, შეძლო, გაეღრმავებინა კონფლიქტი ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე, შემდგომ კი ღიად და დაუფარავად ჩაერთო აღნიშნულ პროცესში. რუსეთის რეგულარულმა სამხედრო ნაწილებმა იერიში მიიტანეს არა მხოლოდ საქართველოს შეიარაღებულ ძალებზე, არამედ სამოქალაქო ობიექტებსა და მშვიდობიან მოსახლეობაზეც, რის შედეგადაც პრაქტიკულად სრულად იქნა განადგურებული

კონფლიქტის ზონაში არსებული დასახლებული პუნქტები. ამის პარალელურად, რუსეთის სამხედრო ნაწილებმა, ავიაციისა და სამხედრო ფლოტის გამოყენებით, განახორციელა თავდასხმა ზემო აფხაზეთის ტერიტორიაზე და საქართველოს კიდევ ოცდაათზე მეტ ქალაქსა და დასახლებულ პუნქტზე.

2008 წლის აგვისტოში განხორციელებული სამხედრო აგრესიის შედეგად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიებიდან განიდევნა ლეგიტიმური ხელისუფლება და განხორციელდა ქართული მოსახლეობის მორიგი ეთნიკური წმენდა. ამავდროულად რუსეთის სახმელეთო ჯარებმა განახორციელეს საქართველოს მთელი ტერიტორიის ოკუპაციის მცდელობა, რითაც კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ კონფლიქტური ტერიტორიები არის საშუალება რუსეთის ფედერაციისათვის მისი მთავარი მიზნის – საქართველოს სუვერენიტეტის ხელყოფის მისაღწევად.

2008 წლის 12 აგვისტოს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე. ევროკავშირის შუამავლობით რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის დადებულ იქნა 6 პუნქტიანი შეთანხმება, რომლის მიხედვით რუსეთის შეიარაღებული ძალები უნდა დაბრუნებულიყვნენ სამხედრო მოქმედების დაწყებამდე არსებულ ხაზზე და უნდა დაწყებულიყო დისკუსიები აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის შესახებ. რუსეთის ფედერაცია არ ასრულებს შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებებს და უფრო მეტიც, 2008 წლის 25 აგვისტოს რუსეთის ფედერაციის საბჭოსა და სახელმწიფო სათათბიროს მიერ მიღებული დადგენილებებისა და 2008 წლის 26 აგვისტოს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის გადაწყვეტილებით რუსეთის ფედერაციამ აღიარა მის მიერ ოკუპირებული რეგიონების დამოუკიდებლობა, რითაც საბოლოოდ დაადასტურა აღნიშნული ტერიტორიების მიტაცებისა და ანექსიის სურვილი.

შესაბამისად, რუსეთის ფედერაციამ მოახდინა ყველა იმ სამართლებრივი აქტის დელეგიმიტაცია, რომლითაც გათვალისწინებული იყო, მისი შეიარაღებული ძალების ყოფნა საქართველოს ტერიტორიაზე.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. რუსეთის შეიარაღებული ძალები, რომლებიც იმყოფებიან საქართველოს ტერიტორიაზე, მათ შორის ეგრეთ წოდებული სამშვიდობო ძალები, გამოცხადდეს საოკუპაციო საჯარისო შენაერთებად.

2. ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა გამოცხადდეს რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებად.

3. საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ყველა შეიარაღებული შენაერთი, გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შენაერთებისა, გამოცხადდეს უკანონო შეიარაღებულ ძალებად.

4. დაევალოს აღმასრულებელ ხელისუფლებას უზრუნველყოს ყველა იმ სამართლებრივი აქტის გაუქმება, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების ყოფნას ითვალისწინებს და რომლებიც თავად რუსეთის ფედერაციის ქმედებებით იქნა დელეგიტიმირებული.

5. საქართველო რჩება 2008 წლის 12 აგვისტოს ევროკავშირის შუამავლობით ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მიღწეული შეთანხმებისა და სხვა ხელშეკრულებებით ნაკისრი ცეცხლის შეწყვეტის ვალდებულების ერთგული.

6. დაევალოს აღმასრულებელ ხელისუფლებას გაწყვიტოს დიპლომატიური ურთიერთობა რუსეთის ფედერაციასთან.